პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი
საშაბათი
21 აპრილი
№ 93 (18035)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ბრძოლის, შენების დიადი წლეული

საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპარტიის აბარის საოლქო კომიტეტისა და აბარის ასსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა

კომუნისტური პარტიის იდეალებისადმი, ლენინის დიადი საქმისადმი, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეებისადმი ერთგულების მკაფიო დემონსტრაციად იქცა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში გამართული საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავს.

სადღესასწაულოდ მორთულ დარბაზში შეიკრიბნენ პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, ბათუმის გარნიზონის მეომართა წარმომადგენლები, პარტიისა და შრომის ვეტერანები, ახალგაზრდობა.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ.

შეკრებილებმა ტაშის გრიალით აირჩიეს სპპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის სექტორის გამგე ნ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

დარბაზის თაღებქვეშ ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

მოხსენება „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავი“ გააკეთა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. დიასამიძემ.

მან დაწვრილებით ილაპარაკა საქართველოს სს რესპუბლიკის ყოველმხრივი განვითარების შესახებ, აღნშნა, რომ რესპუბლიკის მიღწევებში დიდი წვლილი შეიტანეს აჭარელმა მშრომელებმაც. ავტონომიური რესპუბლიკის მეჩიაველებმა და მეცეტრუსეებმა ოთხ წელიწადში შეასრულეს მეათე ხუთწლიანი გეგმა. ხუთწლედისათვის ნაკისრ ვალდებულებებს გადაეჭარბეს მრეწველობის მშრომელებმაც.

მშრომელმა აჭარამ, რომელიც ღირსეულად ეგებება საბჭოთა საქართველოსა და აჭარის სახელოვან იუბილეს, საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავს, მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლისათვის გადიდებული ვალდებულებანი იკისრა. გადაწყდა, კერძოდ, სამრეწველო წარმოების გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის. წარმოების მოცულობა გაადიდონ 8 პროცენტით დავალებით გათვალისწინებულ 2,8 პროცენტის ნაცვლად. სოფლის მეურნეობის დარგში მნიშვნელოვნად გაიზრდება პროდუქციის დამზადების მოცულობა: „ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა — 66.100 ტონამდე, ციტრუსებისა — 120.000 ტონამდე, ხილისა — 15.000 ტონამდე. გაიზრდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. დიდი ღონისძიებებია დასახული სოციალური განვითარების გეგმით.

სხდომა დახურულად ცხადდება. ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

დასასრულ გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი. (საქინფორმი).

მექანიზატორი

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი — პრაქტიკულ საქმედ!

ყოველი დღე — დამკვრელურად!

რესპუბლიკის მინდვრებში, ბაღ-ვენახებსა და ჩაის პლანტაციებში კარგა ხანია გამლღვალი მიწის დამათრობელი სურნელი დგას, მთაში კი ზამთარი ჯერ კიდევ დავიწყებას არ მისცემია. მართალია, უამინდობა ხვნა-თესვის ტემპს ანელებდა, მაგრამ იგი საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაჩაღებულ საგრანტულო ლაშქრობის მსვლელობაზე არხებითს „გავლენას ვერ ახდენს, პირიქით, კიდევ უფრო ამაღლდა მიწათმოქმედთა პასუხისმგებლობა მომავალი მოსავლის ბედისათვის, საგაზაფხულო სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში და უწადოდ შესრულებისათვის. ამ პატრიოტული განწყობილების დასტურია თუნდაც ის, რომ დღეისათვის შარშანდელ შეხამამის პერიოდთან შედარებით გაცილებით მეტ ფართობზეა დათესილი საგაზაფხულო კულტურები. ამ მხრივ სანიმუშოდ ირჯებიან ბოლნისის, საგარეჯოს, ახმეტის, მცხეთის რაიონების მხვნელ-მთესველები. მათ საუკეთესო აგროვადებში დაამთავრეს საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების თესვა; გურჯაანელები და საგარეჯოელები უკვე მორჩნენ ვენახის საგაზაფხულო მოვლის სამუშაოებს; ჩაის კრეფის სეზონისათვის ჩინებულად ემზადებიან მახარაძის, ზუგდიდის და სხვა რაიონების მეურნეობები.

ყველა ამ წარმატებაში დიდია მექანიზატორთა — სასოფლო-სამეურნეო წარმოების გვარდიელთა წვლილი. მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პასუხადმთ კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღეს შრომითი მეტოქეობა მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის.

შეჯიბრების მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი დუშეთის რაიონის მჭადიჯვრის საბჭოთა მეურნეობის, მექანიზატორთა თათხნობას, რომლებმაც თანამოსაჯეელს მოუწოდეს დროულად და მაღალხარისხოვნად შეეკეთებინათ ტექნიკა საგაზაფხულო სამუშაოებისათვის და თავიანთი წვლილი შეეტანათ სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებაში. მჭადიჯვრელთა ინიციატივას კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ ბოლნისელი, გურჯაანელი, გეგეჭკორელი, ქობულეთელი მექანიზატორები, რომლებიც ტექნიკას თვალის ჩინივით უფრთხილდებიან და ეფექტიანადაც მართავენ. სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან მექანიზატორები: კახელი ნ. ბუთხუზი, წითელწყაროელი ი. მელიქიშვილი, გორელი გ. ცერცვაძე, საგარეჯოელი ი. ალექსაშვილი, ზუგდიდელი ვ. მეუნარგია, დუშელი ო. რევაზიშვილი, წალენჯიხელი გ. სახოკია და სხვები. სოფლის ამ ნოვატორებს და მათ მიმდევრებს, რომლებიც შეიარაღებული არიან მეცნიერების მიღწევებითა და წარმოების საუკეთესო ოსტატთა გამოცდილებით, ახლა მოცლა არა აქვთ, ტექნიკას დიდმწარმოებლურად იყენებენ. მათ მეურნეობებს შეეძლებინეს საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დაემთავრებინათ საგაზაფხულო სამუშაოები.

აი, რატომ არის, რომ სოფლად მექანიზატორი მთავარ ფიგურად მიაჩნიათ. სწორედ მის პროფესიულ უნარზე, თავდადებულ გარჯასა და შემოქმედებითს ინიციატივაზეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული მიწის და ფერმის პროდუქტიულობის ზრდა, რომელიც ახლა ყველა პარტორგანიზაციის, თითოეული კომუნისტის უპირველესი საზრუნავია.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიალიზაციისათვის, მექანიზატორთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრებით სოფლის უზრუნველსაყოფად ბოლო წლებში ბევრი რამ ეკეთდა ჩვენს რესპუბლიკაში. მნიშვნელოვნად მოიმატა სოფლის ტექნიკურმა პოტენციალმა. სოფლის მეურნეობაში დღეისათვის მუშაობს ათასობით მექანიზატორი. მეათე ხუთწლედში მათ მიიღეს 16 ათასამდე ტრაქტორი, ათასი კომბაინი, 12 ათასი სატვირთო ავტომობილი; მექანიზაციის დონე მემცენარეობაში ამაღლდა 12 პროცენტით, მეცხოველეობაში — 16 პროცენტით, შარშან მექანიზებულად მოიკრიფა 80 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. მახარაძის რაიონის ნარუჯისა და ნახაკირალის საბჭოთა მეურნეობებში კი ჩაის ნედლეულის დამზადება მთლიანად მექანიზებულია. იპატოვოელთა მაგალითისამებრ თავთავიანი კულტურების ალდებაზე მუშაობდა 280 კომპლექსური მექანიზებული რგოლი, 225 საკვებმომპოვებელი და 57 მეკარტოფილეობის რგოლი; 10 ათას ჰექტარზე განხორციელდა სიმინდის მოვლა-მოყვანის ყველა პროცესის მექანიზაცია, რის შედეგად მოსავლიანობა ორჯერ და მეტად გაიზარდა იმ პერიოდთან შედარებით, როცა ფანერგალი არ იყო ინდუსტრიული ტექნოლოგია. ამ პროგრესული ტექნოლოგიით წლეულს რესპუბლიკის 42 რაიონი 50 ათას ჰექტარზე მოიყვანს სიმინდს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მექანიზატორები ჯერ კიდევ ვალში არიან სოფლის მშრომელთა წინაშე. ბევრ მეურნეობაში მანქანების ექსპლოატაციის დონე თანამედროვე მოთხოვნებს არ შეეხამება, ტექნიკას სრული დატვირთვით არ იყენებენ. რესპუბლიკაში ტრაქტორის დღიური გამომუშავება ჩამორჩება შესაბამის საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. ახალციხის, ბორჯომის, თეთრი წყაროს, კახეთის, საჩხერის და სხვა რაიონებში რატომღაც ურიგდებიან იმას, რომ ზოგ მეურნეობაში მექანიზატორები არ იცავენ მანქანების ექსპლოატაციისა და დაცვა-შენახვის წესებს. ცოტა მანქანა როდი ცდება უხარისხო შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურეობის გამო. ბევრ მეურნეობაში კი მექანიზატორთა ნაკლებობის მიზეზით დაბალია ტრაქტორების მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტი. მაგალითად, ახალციხის რაიონში, სადაც ყოველ 100 ტრაქტორზე 81 ტრაქტორისტი ჰყავთ, ორცვლიან მუშაობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

საკრებოროტო ამოცანაა ისიც, რომ ბევრი მომზადებული მექანიზატორი სოფელში არ რჩება. ამის მაგალითები არცთუ იშვიათია ბოგდანოვკის, ბაშურის, ყვარლის, გორის და სხვა რაიონებში. ეს, უმთავრესად, იმიტომ ხდება, რომ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ადამიანთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. წითელწყაროს რაიონის არბოშიკის კოლმეურნეობაში კი იმის ნაცვლად, რომ ფართოდ გამოიყენონ მექანიზატორთა მორალური და მატერიალური სტიმულირების ღონისძიებები, 37 ტრაქტორისტ-მემანქანეს დააკლეს სტაჟის დანამატი 2.082 მანეთი.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, „საქსახლოფლტექნიკამ“, სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა ქმედითი ღონისძიებები უნდა განახორციელონ სახოფლო-სამეურნეო ტექნიკის ექსპლოატაციის, დაცვა-შენახვის, მემანქანე-ტრაქტორისტთა კადრებით მეურნეობათა უზრუნველყოფის და მათი შრომის ანაზღაურების საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. ამას გვავალებს პარტიისა და მთავრობის დადგენილება „სოფლის მეურნეობაში ტექნიკის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის დამატებითს ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა პრესაში.

მექანიზატორთა შრომის ნაყოფიერების ახამაღლებლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკის კომპლექსურ გამოყენებას, ჯგუფური მეთოდით მუშაობას. მანქანა-ტრაქტორთა გამომუშავების კოეფიციენტი მაღალია იმ მეურნეობებში, სადაც მექანიზატორების და სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების რეგულარული კვება და დასვენება, ტექნიკის მომსახურება ორგანიზებულია უშუალოდ მინდვრების, ბაღ-ვენახებისა და ჩაის პლანტაციების პირობებში. ამას, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ყველგან არ ექცევა ყურადღება.

უჩვეულოდ ძნელი ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი რესპუბლიკის მშრომელებს წლეულს და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედში. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიერ მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა წინაშე დაყენებულ პრობლემათა გადაჭრა შეუძლებელია, თუ გაბედულად არ გამოვიყენეთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ინდუსტრიული მეთოდები, ყოველნაირად არ შევუწყეთ ხელი მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლებას.

წლევანდელი საკრებულო ლაშქრობის წარმატებასაც სწორედ სოფლის მეურნეობის მექანიზაციისადმი, მისთვის კადრების მომზადებისა და მათი შენარჩუნებისადმი ჩვენი მიდგომა განსაზღვრავს.

მექანიზატორი ხვალისა და ბარაქის მთავარი შემოქმედია, და რაც უფრო რაციონალურად მოვაწყობთ თითოეული მათგანის შრომას, უნარიანად გავწევთ მანქანა-ტრაქტორთა მანეგრირებას, მით უფრო ღონიერი, დოვლათიანი იქნება ჩვენი სოფელი.



სურათებზე: ტრაქტორისტი დ. ხარძიანი. იგი წარმატებით ასრულებს მინდვრის სამუშაოებს; მთესველი ტრაქტორისტი ა. მამედოვი თესლით ავსებს სათესელას. მარცხნივ — საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი ა. შალამბერიძე; კომბოსტოს კულტივაცია.

ავტორის ფოტო.

მწვანე მოსავალს — მწვანე გზა!

კრწანისის მიწა! მისი მინდვრები რუსთავის გზატკეცილის ორივე მხარეს გადაჭიმულა. მარჯვნივ და მარცხნივ მიჩანს დიდი მწვანე კვადრატები — სხვადასხვა ბოსტნეულისა და მწვანილის, ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახების ნათესები. ფერდობების ძირში მწყობრად ჩამწკრივებულან საადრეო კომბოსტოს ჩითილები. ამ მიწებზე მთელი წლის განმავლობაში რკალენ და იღებენ მოსავალს.

წელს თვით ბუნებამ გაუმართა ხელი მიწათმოქმედებს. ზამთარი თბილი, მაგრამ „მშრალი“ იყო. ამ გვალვას სოფლის მშრომელებმა დაუპირისპირეს ჯარი რწყვა, მთელი ზამთრის მანძილზე რეგულარულად რწყავდნენ მინდვრებს. ჩვეულებრივზე მთელი თვით ადრე დაიწყეს აქ თესვა და რგვა.

კრწანისის მიწაზე უკვე გაიმარჯვა გაზაფხულმა. თეთრ-ვარდისფრად მოკაზზულან ხეები, ისმის ჩიტების გალობა და ჭიკჭიკი, მინდრად კი „ბელორუსები“ და „ტ-150“ ტრაქტორები გუგუნებენ. თესვის პარალელურად მიმდინარეობს ნარგავების კულტივაცია, ამავე დროს შეაქვთ სასუქებიც.

— მე თოთხმეტი წელია ამ მეურნეობაში ვმუშაობ და არ მახსოვს, რომ შუა აპრილისათვის ასე აყვავებული ყოფილიყოს ჩვენი მინდვრები, — გვეუბნება კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ილია ხარძიანი. — მეურნეობაში 300 ჰექტარზე მოგვყავს ოცდახუთნაირი ბოსტნეული და მწვანილი. აქ არის ქინძი და ოხრახუში, ნიახური და ნიორი, ჭარხალი და ხახვი, კომბოსტო და თვის ბოლოკი... ჩვენ მნიშვნელოვნად გავზარდეთ პროდუქციის მიწოდება. მაგალითად, თუ შარშან შუა აპრილში 1600 ცენტნერი პროდუქცია გვქონდა წარმოებული, წელს კი 2.500 ცენტნერს მიაღწია.

გზებზე დაჰქრიან სხვადასხვა მწვანილით დატვირთული მძლავრი ავტომობილები, რომლებსაც თბილისსა და რუსთავში მიაქვთ იგი. თუმცა მარტო ამ ქალაქებში კი არა, მიმდინარე წლის პირველ თვეებში მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელებს თვითმფრინავით უქავ გაგზავნათ ათობით ტონა მწვანილი. წელს — განაგრძობს დირექტორი, — ვალდებულება ვიკისრეთ ბოსტნეულისა და მწვანილის რეკორდული მოსავალი — 2.400 ტონა მოვიწიოთ! თბილისელები პირველად მიიღებენ სპარეველმაისოდ საადრეო კომბოსტოს.

-მწვანე გზა!

საბჭოთა მეურნეობის მთელი მიწები როდი ვარგა ბოსტნეულისა და მწვანილის მოსაყვანად. აქ არის ბიკობი ნიადაგებიც, სადაც ერთწლოვან და მრავალწლოვან ბალახებს ვთესავთ. წელს ვვარაუდობთ ამ ფართობებზე 500 ტონაზე მეტი მწვანე მასა მივიღოთ. დაჭობებული მიწებიც გვქონდა, რომლებიც ამოვაშრეთ. მაგალითად, ის ადგილი, რომელიც ამჟამად ნუგზარ ლორიას მებოსტნეთა მეშვიდე ბრიგადას აქვს გამოყოფილი, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ დაჭაობებული იყო. ახლა კი ამ ნაკვეთზე უხვად მოჰყავთ ხახვი, პრასი და ბოლოკი.

კიდევ ერთი დიდი პრობლემა გადაწყდა. გასულ წლებში სავაჭრო ორგანიზაციების ვიზეზით აუთვისებელი აღმოჩნდა, შემდეგ კი გაფუჭდა კიდეც მთელი პროდუქცია. წელს ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა. მთელი ჩვენი მწვანილი, რომელიც რიგმ მიზეზით ქორფად ვერ გაიყიდება, თბილისისა და მარნეულის საკონსერვო ქარხნებში გაიგზავნება, სადაც მშრალად გადამუშავდება. ამ ქარხნებში ახალი დიდი სიმძლავრის სპეციალური აგრეგატები იდგმება. ამიერიდან მომხმარებელს მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებლად მიაწვდიან სხვადასხვა ხმელ მწვანილს.

ახალ ხუთწლედში საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს ძალზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანა დავუსახეთ — მათ პირად მეურნეობაში უნდა იყოლიონ ძროხა, საბჭოთა მეურნეობა კი შესაბამისი რაოდენობით გამოუყოფს საკვებს.

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა გადაწყვიტა თავისი წვლილი შეიტანოს სასურსათო პრობლემის მოგვარებაში — ხუთი წლის მანძილზე გაორკეცოს ბოსტნეულისა და მწვანილის წარმოება. ამას მივაღწევთ არსებული რეზერვების გამოყენებისა და მიწის დამუშავების გაუმჯობესებების მეშვეობით.

იმედი ვიქონიოთ, რომ კრწანისელები სიტყვას არ გატეხენ.

ვლ. გინზბურგი.

კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო!.. უფრო ეფექტიანად გამოიყენეთ მიწა, ტექნიკა, სასუქები, საკვები! საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებს — ჩინებული ხარისხი! გავახაროთ სამშობლო უხვი მოსავლით!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან.

შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

20 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ დათვალიერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებარე კომპლექსი, გაეცნო ბიბლიოთეკისა და ბიოლოგიის ფაკულტეტის საერთო საცხოვრებლის კორპუსების მშენებლობას, განიხილა უნივერსიტეტის მომავალი განვითარების გეგმა. ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ რექტორატში მოისმინა რექტორის, აკადემიკოს ვ. მ. ოკუჯავას და პარტიული კომიტეტის მდივნის გ. ა. ლორთქიფანიძის ინფორმაციები რექტორატისა და პარტიული კომიტეტის, დეკანატებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე.

ინფორმაციებში ამხ. ოკუჯავა და ამხ. ლორთქიფანიძე შეეხნენ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ცალკეულ მომენტებს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების რიგ საკითხებს, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერსპექტივებს, იმ ღონისძიებებს, რომლებსაც ამჟამად ახორციელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ვ. ი. ლენინის დაბადების 111-ე წლისთავის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 60 წლის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის; შეეხნენ სტუდენტური დღეების პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მიმდინარეობას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეგობრულშემოქმედებით კავშირებს მოსკოვის, ლენინგრადის, აფხაზეთის, მომმე რესპუბლიკათა სახელმწიფო უნივერსიტეტებთან, ქ. ულნის უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატისა და პარტიული კომიტეტის, გაერთიანებული პროფკომის, კომკავშირის კომიტეტის წარმომადგენლები, ფაკულტეტების დეკანები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

შემდეგ ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე უნივერსიტეტის დიდ სააქტო დარბაზში შეხვდა და ესაუბრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს.

(საქინფორმი).

გულთბილ ვითარებაში

20 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შ. მ. დოსთი, რომელიც პრაღაში გზად მიმავალი იმყოფება მოსკოვში.

გაიმართა გულთბილი, ამხანაგური საუბარი, რომლის დროსაც განიხილეს საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები, აგრეთვე ზოგიერთი საერთაშორისო პრობლემა.

ავამაღლოთ იდეოლოგიური მუშაობის ხარისხი და ეფექტიანობა

20 აპრილს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიხსნა იდეოლოგიურ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარი. მისი მონაწილენი განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების, პარტიის XXVI ყრილობის დოკუმენტების შესწავლა-პროპაგანდის მიმდინარეობას, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა შესახებამისად იდეოლოგიური მუშაობის გარდაქმნის გზებს, ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას, რომელიც შეიძინეს „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებაში.

თათბირ-სემინარში მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, მთელი რიგი საქალაქო კომიტეტების იდეოლოგიურ საკითხთა მდივნები, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების პოლიტორგანოების მუშაკები, სამინისტროებისა და უწყებების, პრესის, ცენტრალური ორგანოების, რადიოსა და ტელევიზიის, საინფორმაციო სააგენტოების ხელმძღვანელები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **მ. ა. სუსლოვმა.** აღნიშნა რა, რომ თათბირ-სემინარი მოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ამხ. მ. ა. სუსლოვმა ხაზი გაუსვა, რომ სკკპ XXVI ყრილობის დამთავრების ცოტა ხნის შემდეგ მისი მოწვევის თვით ფაქტი ცხადყოფს, რა დიდმნიშვნელოვან როლს უთამაშებს პარტია პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობას ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა რეალიზაციაში.

შეკრებილთა ტაშის გრიალში მ. ა. სუსლოვი ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელით მხურვალედ მიესალმა თათბირ-სემინარის მონაწილეებს. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მუდმივი ყურადღება იდეოლოგიური კადრების საქმიანობისადმი, აღნიშნა მ. ა. სუსლოვმა, დიდი ტრიბუნიდან გადაუხადა ჟურნალისტებს, პროპაგანდისტებს, ლექტორებს, მომხსენებლებსა და აგიტატორებს მოწმობს, თუ როდენ დიდად აფასებს პარტია მრავალმილიონიანი იდეოლოგიური აქტივის თავდადებულ და რთულ შრომას, როგორც დიდად ენდობა მას.

შემდეგ მ. ა. სუსლოვმა თქვა: სკკპ XXVI ყრილობა პარტიისა და ხალხის ცხოვრების უთვალსაჩინოესი მოვლენა გახდა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიამ, საბჭოთა ადამიანებმა აღიქვეს ახალ დიდ წვლილად მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითს განვითარებაში, უდიდესი პოლიტიკური და თეორიული მნიშვნელობის დოკუმენტად, რომელშიც ყოველმხრივაა განხილული ჩვენი დროის ყველა საარსებოდ მნიშვნელოვანი პრობლემა.

ლენინის სიტყვებით თუ ვიტყვით, ყრილობამ მთლიანი, სისტემატური, ზუსტი პასუხები გასცა უმნიშვნელოვანეს კითხვებს. ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ მან ახალი ჰორიზონტები გადაუშალა მომწიფებული სოციალიზმის საზოგადოებას, დასახა მისი შესაძლებლობების ეფექტიანი რეალიზაციის, ქვეყნის აღმშენებლობითი ძალების, ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და სულიერი პოტენციალის სრული ამოქმედების გზები.

ყრილობამ წამოაყენა ახალი კონსტრუქციული წინადადებანი, რომელთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება, დაძაბულობის შენელების გაღრმავება, გამალებული შეიარაღების ალაგმვა. ეს წინადადებანი უეჭველად განაგრძობენ ჩვენი პარტიის სამშვიდობო პროგრამას.

XXVI ყრილობამ დამაჯერებლად გვიჩვენა, — რომ ლენინის პარტიას მტკიცედ უჭირავს კომუნიზმის დროშა, შრომისა და მშვიდობის დროშა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური გეზი მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის განუხრელ ზრდას, მისი აღმშენებლობითი მუშაობისათვის მშვიდობიანი პირობების უზრუნველყოფას, ქვეყნად მცხოვრები ყოველი ადამიანის უპირველესი უფლების — სიცოცხლის უფლების დამკვიდრებას.

იდეოლოგიური ფრონტის უპირველესი ამოცანაა გასაგებად, ნათლად და დამაჯერებლად გაცანოს და ჩაუნერგოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების იდეები, ყრილობის დებულებები ყოველ კომუნისტსა და კომკავშირელს, ყველა მშრომელს, მოაწყოს მათი ღრმა შესწავლა, დაეხმაროს პარტიულ ორგანიზაციებს ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით რეალიზაციისათვის მასების ენერგიისა და ინიციატივის წარმართვაში. თათბირზე სწორედ ამაზე უნდა ვიმსჯელოთ, თუ როგორ ვაწარმოოთ უკეთ და ეფექტიანად ეს მუშაობა.

სკკპ XXVI ყრილობამ, ხაზი გაუსვა მ. ა. სუსლოვმა, ჩაიარა უალრესად საქმიან ვითარებაში, რომელიც საანგარიშო მოხსენებამ შექმნა. ყრილობის მუშაობას ახასიათებდა დიდი მომთხოვნელობა განსახილველი საკითხებისადმი მიდგომაში, შეფასებების რეალისტურობა, ნაკლოვანებების პრინციპული და გაბედული გამოვლინება, მათი დაძლევის გზებისა და ხერხების გამონახვა.

ყრილობის მომთხოვნელმა, კრიტიკულმა და კონსტრუქციულმა სულიერებამ უნდა გასახოვროს მასებთან მთელი ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის შინაარსი და სტილი. ბოლშევიკური პრინციპულობისა და შემოქმედებითი აქტიურობის ამ სულისკვეთების დამკვიდრება ყოველი კოლექტივის ცხოვრებაში, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის, ჩვენი ცხოვრების წესისა და ჩვენი მორალის ყველა დარღვევისადმი შეუწყნარებლობის ჩახერგვა — სწორედ ეს იქნება იდეოლოგიური მუშაკების რეალური წვლილი ყრილობის მიერ აღძრული სამეურნეო, სოციალური, ყველა სხვა საკითხის გადაწყვეტაში.

პროპაგანდამ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ძალების მაქსიმალურად სრულ გამოვლინებას, მისი აღმშენებლობითი შრომის ეფექტიანობის მნიშვნელოვნად ამაღლებას, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა უთუო შესრულებას.

პარტია იმით ხელმძღვანელობს, რომ ეფექტიანი იდეოლოგიური საქმიანობა წარმოუდგენელია, ყოველმხრივ თუ არ გავითვალისწინეთ ჩვენი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი ცხოვრება, საბჭოთა ადამიანების განათლებისა და კულტურის გაზრდილი დონე, პარტიის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მეძენილი გამოცდილება.

უფრო სრულად უნდა გავითვალისწინოთ საერთაშორისო ასპარეზზე იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავებაც. ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგენი სულ უფრო უტიფრად და ვერაგულად მოქმედებენ, მტრები იყენებენ ცილისწამებას და ადამიანების შეგნებაში ჯერ კიდევ არსებულ ყოველგვარ ცრურწმენებსა და გადმონაშთებს, ჩვენი ცხოვრების ნაკლოვანებების, ხარვეზებისა და სიძნელეების ღვარძლიანი ინტერპრეტაციით ცდილობენ „წარხოკოს“ კლასობრივი შეგნება, ჩვენი იდეალების რწმენა, და არ იქნებოდა სწორი უგულებელვყოფა უცხო იდეოლოგიის ზემოქმედება ადამიანების გარკვეული ნაწილის შეგნებაზე. ჩვენ უკომპრომისონი უნდა ვიყოთ იდეების ბრძოლაში, აქტიურად ვაამკარავებდეთ ანტისაბჭოურობასა და ანტიკომუნიზმს, გადაჭრით ვილაშქრებდეთ უცხო შეხედულებათა ყველა გამოძახილის წინააღმდეგ.

ყრილობაზე ღრმად და კრიტიკულად იქნა განხილული იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის აზლანდელი მდ

ავამაღლოთ იდეოლოგიური მუშაობის ხარისხი და ეფექტიანობა

(დასასრული)

შესუსტებით. ამგვარ შესუსტებას შეუძლია გაბათილოს ყველა აღმზრდელობითი, პროპაგანდისტული მეცადინეობა.

ლენინის მოთხოვნა —შრომის ზომისა და მოხმარების ზომის **უსასტიკესი** კონტროლი საზოგადოების მხრივაც და **სახელმწიფოს მხრივაც** — განსაკუთრებით უნდა გავითვალისწინოთ შრომის სტიმულირებისა და განაწილების სრულყოფის საკითხების გადაწყვეტის დროს. „სოციალიზმის დროს განაწილების მთავარი კრიტერიუმი, — თქვა XXVI ყრილობაზე ამბანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — შეიძლება იყოს მხოლოდ შრომა — მისი რაოდენობა და ხარისხი. სამწუხაროდ, პრაქტიკულად ყოველთვის ასე არ ხდება. ყოველგვარი გათანაბრება, ხელფასის გამოწერა არსებითად მხოლოდ სამუშაოზე გამოცხადებისათვის და არა მისი რეალური შედეგებისათვის, დაუმსახურებელი პრემიების გაცემა — ყოველივე ეს უაღრესად მავნე გავლენას ახდენს საწარმოო მაჩვენებლებზეც და ადამიანთა ფსიქოლოგიაზეც“.

აქ წინა პლანზე დგება „კონკრეტული ამოცანა — ყველგან დავამკვიდროთ პატიოსანი, კეთილსინდისიერი, შემოქმედებითი შრომის ავტორიტეტი. ეს არის მუშტრული განწყობილების, მეშჩანობის, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივების წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების უმნიშვნელოვანესი პირობა. ახალი ადამიანის ჩამოყალიბება, მისი იდეოლოგიური წრთობა, სოციალისტური ცხოვრების წესის ნორმებისა და პრინციპების სრული დამკვიდრება განაპირობებს იმის საჭიროებას, რომ უნარიანად, ზუსტად შევარჩიოთ ყოველივე ახალი და მოწინავე, რასაც მხარი უნდა დავუჭიროთ და განვავითაროთ, შეუპოვრად, თანამიმდევრულად ვებრძოლოთ იმას, რაც ჩვენს წინსვლას აფერხებს. მხოლოდ ამ გზით შეეძლებთ მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, როცა აგიტაცია საქმით წარმოვებს. ეს კი ჩვენი აგიტაციის ყველაზე დამაჯერებელი სახეობაა.

პარტიის იდეოლოგიურ საქმიანობაში, ხაზგასმით აღნიშნა მ. ა. სუსლოვმა, მუდამ უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა და უკავია თეორიულ მუშაობას. ამ დარგში დიდ მოღწევათა შორის ყრილობამ უწინარეს ყოვლისა გამოყო განვითარებული ნაციონალიზმის ,,ინტერნაციონალიზმის ,,ინტერნაციონალიზმის ,,ინტერ

ანგარიშს აბარებენ ფილოლოგები

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა ენისა და ლიტერატურის განყოფილების საიუბილეო სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავს. სესია შესავალი სიტყვით გახსნა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა შ. ძიძიგურამ, მოხსენებები საბჭოთა საქართველოში ლიტერატურათმცოდნეობის, ენათმეცნიერებისა და აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარების შესახებ წაიკითხეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ა. ბარამიძემ, კ. ლომთათიძემ, თ. გაფრინდაშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ბ. ჯიბლაძემ.

— წლევანდელი საიუბილეო სესია თავისებური ანგარიშია 60 წლის გზისა, რომელიც ქართველმა საბჭოთა ფილოლოგიურმა სკოლამ განვლო, — უთხრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორესპონდენტს ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა შ. ძიძიგურამ. — საყოველთაოდ ცნობილია, რომ დარგში ჩვენი მეცნიერების მიღწევები, მათი წვლილი მსოფლიო მეცნიერებაში.

დიდ წარმატებებს მივაღწიეთ ერთიანად, ქართველური და მთის კავკასიური ენების მეცნიერულ შესწავლაში. როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს სპეციალური დადგენილება რესპუბლიკის სასწავლებლებში ართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების ესახებ, რომლის საფუძველზე ვენმა ენათმეცნიერებმა და ლიტერატურათმცოდნეებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მშობლიური ენისა და ლიტერატურის ემდგომი განვითარების საქმეში. ტურად ვამუშავებთ ლიტერატურული ენის ნორმათა დადგენის ობლემებს. გამოცემულია მეტყველების კულტურისადმი მიძღვნილი შრომები, სპეციალური ერმინოლოგიური ლექსიკონები. ერიოზულ მიღწევებს განეკუთვნება რვატომიანი ქართული გამარტებითი ლექსიკონის, სამტომიანი რუსულ-ქართული ლექსიონის გამოცემა.

გამოსაცემად მზადდება ფუნამენტური ნაშრომი. — ქართული ენის გრამატიკის ექვსტომეული. დასაბეჭდად მზად არის აფხაზური და ოსური ენების განმარტებითი ლექსიკონები. დიდ წარმატებებს მივაღწიეთ იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლაში. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბაზაზე გამოდის საკავშირო ჟურნალი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული", რომლის რედაქტორია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ჩიქობავა. მოსკოვში გამოიცა კაპიტალური ნაშრომი „ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია", რომელიც შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა მოამზადა გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტთან ერთად. ქართველმა ფილოლოგებმა დიდი წვლილი შეიტანეს კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის, ლიტერატურული ურთიერთობის, ფოლკლორისა და ჟურნალისტიკის პრობლემების შესწავლაში.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერები ინტენსიურად შეისწავლიან ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ენებს, მათ ლიტერატურას, ისტორიას. ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები მრავალმა შრომამ, თარგმნებმა დიდი აღიარება მოიპოვეს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

სახელოვანი 60 წლის მანძილზე საბჭოთა საქართველოში შეიქმნა ახალი სამეცნიერო სკოლები, აღიზარდნენ მეცნიერთა კადრები. განსაკუთრებული სიამაყის გრძნობით ვამბობთ ყოველივე ამას დიდი და ნათელი დღესასწაულის წინ.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში

„**ახალი** ფორმებისა და მეთოდების ძიება ინფორმაციის ორგანოების ქმედითობის ასამაღლებლად სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში" — ასეთია თემა შემოქმედებითი სემინარებისა, რომლებიც ამ დღეებში ეწყობა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის რეგიონალურ ორგანიზაციებში.

„გაზეთისა თუ ჟურნალის ყოველი სტატია, ტელევიზიისა თუ რადიოს ყოველი გადაცემა უნდა ემყარებოდეს როგორც სერიოზული საუბარი ადამიანებთან, რომლებიც მოელიან არა მარტო ფაქტების ანალმართალ და ოპერატიულ ანუწესებას, არამედ აგრეთვე მათს ობა ანალიზს, სერიოზულ განზოგადებას", — აღნიშნა თავის მოხსენებაში სკკპ XXVI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. ამ სახელმძღვანელო მითითების შესაბამისად სემინარის მონაწილენი თავიანთ უპირველეს ამოცანად ისახავენ უფრო ღრმად ჩასწვდნენ მთელ ფენს ქვეყანაში, ჩვენს რესპუბლიკასა და ცალკეულ რეგიონებში მიმდინარე პროცესებს, გამომაზეურონ და ხალხის სამსახურში ჩააყენონ რეზერვები ეკონომიკაში, უფრო თვალსაჩინო გახადონ მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებს, თამამად წამოჭრან ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების საპრობლემო საკითხები და თანამიმდევრულად, ბოლომდე იბრძოლონ მათ გადასაწყვეტად.

სემინარები უკვე გაიმართა აფხაზეთის, მახარაძის, გორის, რუსთავის, გურჯაანისა და მცხეთის რეგიონების ჟურნალისტთა ორგანიზაციებში. აპრილის დამლევამდე შემოქმედებითი სემინარები ჟურნალისტთა ყველა რეგიონალურ ორგანიზაციაში მოეწყობა. მაისის დასაწყისში კი რესპუბლიკის ჟურნალისტები საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გაფართოებულ პლენუმზე შეიკრიბებიან და იმსჯელებენ იმ დიდ ამოცანებზე, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ დაუსახეს მასობრივი ინფორმაციის ორგანოებს.

სკოლიდან — მუშათა კლასში

საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლების სასწავლებლების სწავლის ფრიადოსანთა VII რესპუბლიკური შეკრება

სწავლის დაწყებამდე ოთხი თვეღა დარჩა, მაგრამ რესპუბლიკის ყველაზე ახალგაზრდა ქალაქის მადნეულის № 25 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში განცხადება უკვე შეიტანა ადგილობრივი საშუალო სკოლის 27 მოსწავლემ. ორი წინა გამოშვების მაგალითისამებრ, ამ სკოლის მერვეკლასელებმა განაცხადეს, რომ აქვთ სურვილი დაეუფლონ მუშურ სპეციალობებს მადნეულის სამთო-მამდიდრებელ კომბინატში.

თბილისში გამართული პროფტექნიკური სასწავლებლების სწავლის ფრიადოსანთა VII რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებს ეს ამბავი აცნობა № 25 პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულმა ნანა ჯაყელმა. მან წარჩინებით დაამთავრა რვაწლედი. ნანამ უკვე წინასწარ იცოდა, სად გაგრძელებდა სწავლას: მთელმა კლასმა გადაწყვიტა პროფტექნიკურ სასწავლებელში შესვლა. ეს იყო ორი წლის წინათ. და აი, მადნეულის საშუალო სკოლის მესამე გამოშვებამ მიბაძა უფროს ამხანაგთა მაგალითს და განცხადება შეიტანა მადნეულის პროფტექნიკურ სასწავლებელში. აქ ისინი დაეუფლებიან ფართო პროფილის მამდიდრებლის სპეციალობ ებ ს. პროფტექნიკურ სასწავლებელს აქვს პირველი კლასის სასწავლო და საწარმოო ბაზები, მას შეფობას უწევს კომბინატის კოლეგიუმი, ხოლო კურსდამთავრებულთა 97 პროცენტი ამ საწარმოში მუშაობს.

საქართველოს პროფტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეები გამოცდილი დამრიგებლების ხელმძღვანელობით ეუფლებიან 220 სხვადასხვა მუშურ სპეციალობას. მარტო გასულ ხუთწლედში მათ გამოუშვეს 70 მილიონი მანეთის საფეიქრო და შეკერილი ნაწარმი.

სხვადასხვა გზას ირჩევენ ცხოვრებაში პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულები. ახალგაზრდები აწყდებიან სიძნელეებს, მაგრამ შესწევთ უნარი დაძლიონ ისინი. აი, მაგალითად, რა გვიამბო სართიჭალის № 85 პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულმა მარინე წოწკოლაურმა:

— სამი წლის წინათ, როცა სასწავლებელი დავამთავრე, მექანიზატორ-ტრაქტორისტის დიპლომით დავბრუნდი შობლიური საგარეჯოს რაიონის გომბორის მეცხოველეობა-მებაღეობის საბჭოთა მეურნეობაში, მაგრამ ტექნიკას არ მანდობდნენ. ცოტა ხანს დავიცადე, შემდეგ კი თხოვნით მივმართე პარტიის რაიკომს. მხოლოდ ამის შემდეგ გამომიყვეს ტრაქტორი.

მარინე წოწკოლაური სისტემატურად ერთ-ნახევარჯერ და მეტი გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს, მას ჩინებული მაჩვენებლები აქვს საწვავ-საპოხი მასალების დაზოგვაშიც. მოწინავე მექანიზატორი, საბჭოთა მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი აირჩიეს პარტიის საგარეჯოს რაიკომისა და საქართველოს ალკკ რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრად, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატად.

მარტო წელს პროფტექნიკური სასწავლებლის დაახლოებით 30 ათასი კურსდამთავრებული შეუდგება მუშობას ქარხნებში, ფაბრიკებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. შეკრების მონაწილენი სამინისტროებისა და უწყებების საბაზო საწარმოების, საწარმოო გაერთიანების კოლექტიური დათვალიერების დროს დარწმუნდნენ, თუ რა ფართო შესაძლებლობანი ესახებათ ახალგაზრდა სპეციალისტებს.

შეკრების მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს.

კრებამ მიიღო მიმართვა რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ყველა მოსწავლისადმი.

თბილისის მთავარ მოედანზე, რომელიც დიდი ბელადის სახელს ატარებს, საქართველოს პროფტექნიკური სასწავლებლების სწავლის ფრიადოსანთა VII რესპუბლიკური შეკრების მონაწილეებმა გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი. (საქინფორმი).

საქართველოს ახალგაზრდა კომუნისტების ლენინური კავშირის ცენტრალური კომიტეტი

ლენინური ზურგზე

20 აპრილი

სოციალიზმის ქვეყნებში

● გულგარეთი უნარჩენო ტექნოლოგია

სოფია. გაბროვოს პლასტმასის გადამმუშავებელი კომბინატი პირველი ბულგარული საწარმოა, რომელიც იყენებს მხოლოდ უნარჩენო ტექნოლოგიას. ეროვნული ქიმიური კომბინატი „ლენინი" ეს ერთ-ერთი უდიდესი ობიექტი უშვებს პლასტმასის მილებს სოფლის მეურნეობის, ქიმიური და სამთო-მომპოვებელი მრეწველობის, საბინაო მშენებლობისათვის.

გაბროვოელები ოდითგან განთქმულნი იყვნენ ყაირათიანობით. კომბინატის მუშების შესახებ კი ამბობენ, რომ ისინი „ქარს არ ატანენ" ერთი ბეხდვიდან უვარგისი ნედლეულის გრამსაც კი. მაგალითად, აქ შექმნეს დანადგარი, რომლის მეშვეობითაც დაწუნებულ მილებს აქუცმაცებენ, შემდგ კი კვლავ იყენებენ წარმოებაში. ნედლეულის რაციონალური გამოყენების შედეგად გაბროვოს კომბინატმა ბოლო ხუთი წლის მანძილზე თითქმის 12 პროცენტით შეამცირა მასალების ხარჯვა. გაბროვოელთა თაოსნობას უკვე მიბაძა ბულგარეთის 40-ზე მეტი ქიმიური საწარმოს კოლექტივმა.

● რუმინეთი ვითარდება ჩარხმშენებლობა

ბუქარესტი. რუმინეთის ქალაქ რომანის მექანიკურ ქარხანაში დამზადდა ქვეყანაში პირველი სახარატო-კარუსელური ჩარხი 140 ტონამდე წონის დეტალების დამუშავებისათვის. ჩარხი ძალზე ზუსტად ამუშავებს დეტალებს.

ჩარხმშენებლობა რუმინეთის ეკონომიკის ახალგაზრდა დარგია, რომელიც ვითარდებოდა საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით. დღეს ქვეყნის ქარხნები უშვებენ პროგრამული და რიცხვული მართვის თანამედროვე ჩარხებს, რომლებიც იგზავნება მრავალ ქვეყანაში, მათ შორის სსრ კავშირში.

● ვიეტნამი სამეცნიერო კონფერენცია

ჰანოი. ჩინეთის სუნის დინასტიის ლაშქარზე ვიეტნამის გამარჯვების ათასი წლის იუბილეს მიეძღვნა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც გაიმართა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კომიტეტთან არსებულ ისტორიის ინსტიტუტში.

კონფერენციაზე მოისმინეს ვიეტნამელ ისტორიკოსთა მოხსენებები ეროვნული გმირის ლა ხოანის სარდლობით 981 წელს მოპოვებული გამარჯვების შესახებ. ბოლო წლების გამოკვლევათა შედეგად აღმოჩენილია მთელი რიგი ახალი საინტერესო მასალები მეათე საუკუნეში ჩინელ დამპყრობთა წინააღმდეგ ვიეტნამელი ხალხის ბრძოლის შესახებ, როცა ქვეყანა განთავისუფლდა ჩრდილოელი მეზობლის ათასწლიანი ბატონობისაგან.

დემონსტრაცია საელჩოსთან

ტოკიო. „მოვითხოვთ ამერიკამ დაუყოვნებლივ გაიყვანოს იაპონიის წყლებიდან ბირთვულიარაღიანი წყალქვეშა ნავები!" — ამ ლოზუნგით გაიმართა იაპონიის საზოგადოებრიობის დემონსტრაცია ამერიკის ტოკიოს საელჩოს შენობასთან. გაზეთი „აკაჰატა" იუწყება, რომ დემონსტრაცია მოაწყეს სრულიად იაპონიის ბირთვული და წყალბადის იარაღის აკრძალვის საბჭომ და ქვეყნის სხვა პროგრესულმა ორგანიზაციებმა. დემონსტრანტებმა ამერიკის მთავრობისაგან მოითხოვეს გულდასმით გამოიკვლიოს ამერიკის ატომური წყალქვეშა ნავის „ჯორჯ ვაშინგტონის" მიერ იაპონიის მშრალტვირთიანი გემის „ნისიო-მარუს" ჩაძირვის ინციდენტი. ამ ინციდენტმა ახალი ძალით გამოაღვიძა სეიოიული საშიშროება, რომელსაც იაპონიის მოსახლეობას უქმნის მის წყლებში ბირთვულიარაღიანი ამერიკული წყალქვეშა ნავების მუდმივი ნაოსნობა, ხაზი გაუსვეს დემონსტრაციის მონაწილეებმა.

კვლავ სრული

ბეირუთი. ლიბანის დედაქალაქის გარეუბნებში კვლავ დაიწყო სროლა, რომელიც პროვოკაციულად ატეხეს მემარჯვენე ქრისტიანული შენაერთების შეიარაღებულმა რაზმებმა.

ამავე დროს ისრაელის ჯარებმა ჰადადის სეპარატისტთა მხარდაჭერით არტილერიის ცეცხლი დაუშინეს სამხრეთ ლიბანის ცენტრალურ და აღმოსავლეთი სექტორების არნუნისა და ნაბათიის რაიონებს. როგორც პალესტინის საინფორმაციო საააგენტო ვაფა იუწყება, ისრაელის სამხედროსაზღვაო ძალების კატარღები სერავდნენ ლიბანის ტერიტორიულ წყლებს.

● ბოლოდ ფაქტები

ტელეტაიპის ლენტიდან

● ტოკიო

იაპონიის საზოგადოებრიობა პროტესტს აცხადებს ოკინავის კუნძულზე დაბანაკებული ამერიკის სამხედროსაზღვაო ძალების დიდი საარტილერიო წვრთნის წინააღმდეგ, რომელიც 28 აპრილისათვის არის დანიშნული. ამასთან დაკავშირებით განცხადებანი გააკეთეს იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულების" წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული საბჭოს ოკინავის განყოფილებამ და მთელმა რიგმა სხვა ტაბარესულმა, ომის საწინააღმდეგო ორგანიზაციებმა. როგორც გაზეთი „ოკინავა ტაიმუზუ" იუწყება, ყოველწლიურად ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები კუნძულზე აწყობენ 700-ზე მეტ საარტილერიო სროლას. ამერიკის მხედრიონის წვრთნა და მანევრები საფრთხეს უქმნიან ოკინავისა და ქვეყნის სხვა რაიონების მოსახლეობას.

● მაპუტუ

მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკაში დაიწყო ლენინური შრომითი კვირეული. მისი მიზანია შრომისადმი ახალი დამოკიდებულების პროპაგანდა, მოზამბიკში სოციალისტური საზოგადოების აქტიურ მშენებელთა აღზრდა.

დედაქალაქის აეროპორტის რაიონში ინტერნაციონალური მეგობრობის პარკის საძირკვლის ჩაყრის წინ გაიმართა მიტინგი.

● ფაქტები ● მოვლენები ● კომენტარები

საშიში კურსით

პენტაგონის შეფი მოითხოვს ბირთვული პოტენციალის ზრდას

ლონდონი, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია აპირებს განაგრძოს გამალებული შეიარაღების გაზრდის საშიში კურსი. ეს არაორაზროვნად განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა კ. უაინბერგერმა ინგლისის გაზეთ „სანდი ტაიმსისათვის" მიცემულ ინტერვიუში.

პენტაგონის შეფმა განაცხადა, რომ საჭიროა შეიქმნას უფრო მძლავრი საკონტინენტთაშორისო ბირთვული რაკეტები „მინიტმენის" რაკეტებთან შედარებით, რომლებითაც ამჟამად არის შეიარაღებული არმია. მან თქვა, რომ რეიგანის ადმინისტრაცია ამავე დროს აპირებს დააჩქაროს „მხ" მობილური ბაზირების საკონტინენტთაშორისო რაკეტების შექმნისა და განლაგების პროგრამა. „საბჭოთა სამხედრო საფრთხის" გაცვეთილი თეზისის საბაბით უაინბერგერმა მოითხოვა ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული პოტენციალის შემდგომი ზრდა. ამერიკის სამხედრო უწყების მეთაური ამტკიცებდა, რომ საჭიროა შეიმუშაოს დასავლეთევროპელ მოკავშირეებთან „შეთანხმებული გეგმა" ნავთობით მდიდარი სპარსეთის ყურის რაიონში „სწრაფი ინტერვენციის" უზრუნველსაყოფად.

ამასთან უაინბერგერმა გამოთქვა „ამაყოფილება" ინგლისის მთავრობის პოზიციის გამო, რომელმაც უპირობოდ დაუჭირა მხარი „სწრაფი რეაგირების ძალების" შექმნას და განაცხადა, რომ ყოველნაირად შეუწყობს ხელს ვაშინგტონის ადმინისტრაციას მის მომავალ ავანტიურებში.

ამავე დროს, როგორც „სანდი ტაიმსის" კომენტარი მოწმობს, როცა დასავლეთ ევროპაში თავისი უკანასკნელი ტურნეს დროს ევროპის მთელი რიგი მთავრობების წინაალმდეგობას წააწყდა, რომლებსაც არ სურთ ვაშინგტონის პოლიტიკის მაჩანჩალები იყვნენ, პენტაგონის შეფი იძულებული გახდა ერთგვარად თავი შეეკავებინა აგრესიული გამონათქვამებისაგან. მაგალითად, წერს გაზეთი, ახლა იგი ცდილობს არაფერი თქვას ნეიტრონული ბომბისა და ახლო აღმოსავლეთში ამერიკის მუდმივი ყოფნის შესახებ. ხოლო როცა უაინბერგერს შეახსენეს მისი ამასწინანდელი მუქარა ჩინეთს იარაღით მოვამარაგებთო, მან უპასუხა, ან არასწორად არის ციტირებული ჩემი სიტყვები, ან მე თვითონ ავხრი სწორად ვერ გამოვთქვიო.

მეშვიდობის მარში

ბონი. „მშვიდობის მარში" — ასეთი ლოზუნგით გაიმართა ჰანოვერში გეტინგენში, ფრეიბურგში, კასელში, დიუსელდორფსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სხვა დიდ ქალაქებში მანიფესტაციები ნატოს რაკეტულ-ბირთვული პოტენციალის გაზრდის წინააღმდეგ.

ნატოს მიერ გამალებული შეიარაღების ზრდის წინააღმდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროგრესული საზოგადოებრიობის მოძრაობაში მონაწილეობენ კომუნისტები, სოციალ-დემოკრატები, პროფკავშირული აქტივისტები, ქალთა, სტუდენტთა, ახალგაზრდულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ამ ღონისძიებათა ფარგლებში მიმდინარეობს ქვეყნის საზოგადოებრიობისადმი მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვება. მიმართვა შეიცავს მოწოდებას არ დაუშვან ნატოს რაკეტულ-ბირთვულ გადაწყვეტილებათა შესრულება. მშვიდობისათვის მებრძოლებმა მიზნად დაისახეს მოაგროვონ მილიონი ხელმოწერა ამ დოკუმენტისათვის. მიმართვას ხელი მოაწერა უკვე 300 ათასზე მეტმა მოქალაქემ.

ფოტოინფორმაცია

დღეს ავღანეთში

21-27 აპრილი ავღანეთის სოლიდარობის კვირეულია

ნურზიე ფარინმა (ხურათი ზემოთ) ბაჭოს აზიზბეკოვის სახელობის ინსტიტუტი დაამთავრა. სამშობლოში დაბრუნებისთანავე სათავეში ჩაუდგა ნავთობისა და გაზის დეპარტამენტის გეოლოგიურ კომპლექსურ ლაბორატორიას ჩრდილოეთ ავღანეთში. ნურზიე პროვინციის ქალთა კომიტეტის წევრი და დეპარტამენტის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეა.

ავღანელები თანამედროვე სახლმშენებლობის პირმშოს უწოდებენ ქაბულის სახლსაშენებელ კომბინატს, რომელიც 1965 წელს აიგო საბჭოთა კავშირის ტექნიკური და ეკონომიკური დახმარებით. კომბინატი ამზადებს სტანდარტულ კომპლექტებს საცხოვრებელი ბინებისა და სამრეწველო მშენებლობისათვის. კომბინატის არსებობის მანძილზე დედაქალაქში აიგო ახალი ბინები, მაღაზიები, სავაჭრო ცენტრები, სკოლები, ტექნიკური სასწავლებლები, სბავშვო ბაგა-ბაღები.

სურათზე: პანელების დატვირთვა კომბინატის მზა პროდუქციის საწყობში.

საკადრისი ფოტო.

გადაჭრით დაგმეს

ვაშინგტონი ახალი საგარეო და სამხედრო პოლიტიკის მომხრეთა კოალიციამ, რომელიც აერთიანებს ათობით საზოგადოებრივ ორგანიზაციას, დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის კურსი ცენტრალური ამერიკის მიმართ.

აქ გავრცელებულ განცხადებაში კოალიციის ხელმძღვანელებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ კურსს ახასიათებს, კერძოდ ანტიხალხური რეჟიმებისადმი „ყველა ფორმის სამხედრო მხარდაჭერის გაკეთილშობილება" და მიზნად ისახავს რეგიონში შეერთებული შტატების „ინტერესებისა და გავლენის უზრუნველყოფას".

ტერორიზმი: რეალური და მითური

ჩვენი კომენტარი

მილანში (იტალია) დაიკავეს ვინმე მარიო მორეტი. ეს ფაქტი დასავლეთის პრესამ თითქმის ერთხმად შეაფასა როგორც „იტალიაში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დიდი წარმატება" (ფრანგული გაზეთი „ლუმანიტე"). მორეტი არის ეგრეთ წოდებული „წითელი ბრიგადების" ერთ-ერთი უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი. მისი თანამოსაქმისა და იტალიის ტერორისტთა კიდევ ერთი ახლოთვე მეთაურის პატრიციო პეჩის (იგი შარშან დაიჭიტიმრეს) ჩვენებით, მორეტი უშუალოდ ხელმძღვანელობდა იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ალდო მოროს მოტაცებასა და მკვლელობას. იგი ტელეფონით პირადად უკავშირდებოდა გატაცებულის მეუღლეს და უყენებდა თავის მოთხოვნებს.

მორეტისთან ერთად დაპატიმრებულია 42 წლის ენრიკო ფენზი, რომელიც, როგორც ჩანს, აგრეთვე „წითელი ბრიგადების" ელიტის წარმომადგენელია.

ამრიგად მთელი ამ ოპერაციის შედეგად იტალიის პოლიციის ხელში აღმოჩნდნენ კონკრეტული პირნი და უტყუარი საბუთები, რომლებიც ნათელს ჰფენს ტერორისტთა მოქმედებას არა მარტო იტალიაში, არამედ მთელ დასავლეთ ევროპაში. დღეს უკვე არავისთვის აღარ არის საიდუმლოება იტალიელ ექსტრემისტთა კავშირი ფრანგ და დასავლეთგერმანელ ტერორისტებთან. მაშასადამე, ბურჟუაზიული თემიდას ყველა შესაძლებლობა აქვს, რომ ამოხსნას საერთაშორისო ტერორიზმის „საიდუმლოება", გვიჩვენოს მისი მიზეზები და წყაროები.

ასეთ შემთხვევაში ამბობენ: დაველოდოთ გამოძიების დამთავრებას. მაგრამ ზოგიერთები ჩქარობენ, როგორც იტყვიან, ენა წინ უსწრებთ, რადგანაც მათ სულ სხვა მიზანი ამოძრავებთ: დაამტკიცონ, თითქოს ყველა ტერორისტული აქტის ზურგს უკან საბჭოთა კავშირი იდგეს.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ მაშინ, როდესაც კარაბინერებმა მ. მორეტი და ე. ფენზი დაიკავეს, იტალიის წიგნის მაღაზიების თაროებზე გამოჩნდა გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" კორესპონდენტის კლერ სტერლინგის წიგნი — „ტერორის ქსელი. საერთაშორისო ტერორიზმის საიდუმლო ომი", რომელშიც გატარებულია ზემოაღნიშნული "ორიგინალური აზრი". ამ „გაუგებრობის" გასაღები ვაშინგტონის ამყამინდელი ადმინისტრაციის პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. გამალებული შეიარაღების გამართლების მიზნით მას სურს დაამტკიცოს, რომ საბჭოთა კავშირი და კომუნიზმი მსოფლიოში უველა „უწესრიგობის" სათავეა. ამიტომ პრიორიტეტი ენიჭება არა სინამდვილეს, არამედ მითს, რომელიც მსოფლიოში საშიში კონფრონტაციის განახლების იდეოლოგიური გამართლებაა და სხვა არაფერი.

ედ. მენაბდე,
„კომუნისტის" პოლიტიკური მიმომხილველი.

● ● ინდოეთი გარდაქმნების გზაზე

ინდოეთისადმი ორმხრივ საარგებლო ეკონომიკურ დახმარებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს ორ ქვეყანას შორის მეცნიერულ კავშირურთიერთობას. სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის არსებული ხელშეკრულება მეცნიერების სხვადასხვა დარგში გაერთიანებული სიმპოზიუმების მოწყობასაც ითვალისწინებს, რომლის ინიციატორები ინდოეთის მეცნიერი გეოგრაფები და ეკონომისტები იყვნენ. ისინი დაინტერესდნენ იმ მდიდარი გამოცდილებით, რომელიც ჩვენს ქვეყანას აქვს ეკონომიკური და კულტურული განვითარების სფეროში.

რეგიონალური განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი ასეთი სიმპოზიუმი 1978 წლის ოქტომბერში თბილისსა და ბაქოში გაიმართა და მსხვილი რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად საკითხებს მიეძღვნა. ამას წინათ კი დელში გაიმართა საპასუხო სიმპოზიუმი, რომლის ძირითადი თემა იყო რეგიონალური განვითარების მიზნით ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება. სიმპოზიუმში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის 9 მეცნიერი, მათ შორის ორი საქართველოდან. ექვსი დღის განმავლობაში საბჭოთა და ინდოელი მეცნიერები და სპეციალისტები მსჯელობდნენ გარემოს დაცვის გათვალისწინებით ბუნების აღდგენითი რესურსების (მიწის, წყლის, ტყეების, ველების, ბალახეულობის, ოტმალური ვარიანტების შერჩევაზე. სიმპოზიუმის მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს ჩვენი სპეციალისტების გამოსვლებს. ინდოელმა კოლეგებმა სურვილი გამოთქვეს, რომ მომავალშიც ინტენსიურად გაგრძელდეს ერთობლივი კვლევა მეცნიერების ამ სფეროში.

ცნობილია, რომ ინდოეთი — მსოფლიოს ეს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანა მხოლოდ კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლების შემდეგ დაადგა თავის ეროვნული ეკონომიკის განვითარების გზას, რომელმაც მას დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი. მიუხედავად ამისა, ქვეყანა ჯერ კიდევ დიდი სიძნელეების წინაშე დგას. ერთ-ერთი შეზავე პრობლემაა სწრაფად მზარდი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა, და საერთოდ ცხოვრების დონის სისტემატური ამაღლება. ამ მხრივ ინდოეთმა გარკვეული წარმატებები მოიპოვა. კერძოდ, ეგრეთ წოდებული „მწვანე რევოლ ციის" შედეგად უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ხორბლის ჰექტარობრივი მოსავლიანობა საშუალოდ ქვეყანაში 12-დან 17 ცენტნერამდე გაიზარდა.

მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, დიდი პრობლემების გადაჭრას სეროიზული სიძნელეები ახლავს და უწინარესად სოციალურ სფეროში. სიმპოზიუმის საბოლოო სხდომაზე გამოსულმა ცნობილმა პროფესორმა მუნის რაზამ გულისტკივილით აღნიშნა, რომ „მწვანე რევოლუციამ" კიდევ უფრო გაიღრმავა სოციალური წინააღმდეგობანი. მისი ერთ-ერთი შედეგი ის გახლავთ, რომ ღარიბები უფრო გაღარიბდნენ, ხოლო მდიდრები უფრო გამდიდრდნენ. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, მარცვლეულის ახალი უხვმოსავლიანი ჯიშები ხელოვნურ სასუქებს, მიწის კარგ დამუშავებას მოითხოვს. კაპიტალისტური მსოფლიოს მინერალურ სასუქების წარმოების 90 პროცენტი კი ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებზე მოდის. თვით ინდოეთში ნაკელს ძირითადად საწვავად იყენებენ, და არა სასუქად. სპეციალისტების გამოანგარიშებით, ინდოეთში ორგანული სასუქის პირდაპირი დანიშნულებით გამოყენება 90 მილიონ ჰექტარზე მეტ მიწას გააპოხიერებდა და ქვეყანა ყოველწლიურად დამატებით 45 მილიონ ტონა მარცვლეულს მიიღებდა. თანამედროვე პირობებში კი წვრილ მეურნეობებს არც მინერალური სასუქების შეძენის საშუალება აქვთ და არც მანქანა-მოწყობილობისა. ამიტომ მიწები თანდათან უფრო შეძლებულს უვარდებათ ხელში, ხოლო გაღატაკებული გლეხების ნაწილი იმავე მიწებზე მოიჯარადრეებად რჩება ან ქალაქების უმუშევართა რიგებს ავსებს.

ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება მრავალმხრივ არის დაკავშირებული გარემოს დაცვასთან. ამჟამადაც დიდი ადგილი დაეთმო ეროზიისაგან მიწების დაცვის პრობლემას. ყოველწლიურად ინდოეთში წყალდიდობის შედეგად 6-7 მილიონი ჰექტარი ნათესი ზიანდება. რის გამოც ზარალი სოფლის მეურნეობაში 4,5 მილიარდ რუპიას აღწევს.

**მეტად მწვავედ იგრძნობა ინდოეთში წყლის ნაკლებობა როგორც მეურნეობაში, ისე კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. მუსონური კლიმატის გამო მდინარეებს მკვეთრი სეზონურობა ახასიათებს. წვიმების პერიოდში (ივნის-სექტემბერი) მდინარეები წყალუხვია და წყალდიდობა დიდ ზარალს აყენებს ქვეყანას. გვალვიან სეზონში კი (ნოემბერ-მაისი) წყლის დონე მდინარეებში მკვეთრად ეცემა და ბევრი მათგანი სრულიად შრება. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყალსაცავების მშენებლობას და მიწისქვეშა წყლების ეფექტიანად გამოყენებას, მიწებზე, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში შეიძლება მოირწყას, ინდოეთის მეტ წილ რაიონებში 2-3

არქეოლოგთა V ყრილობის 100 წლის თავზე

ზუსტად 100 წლის წინათ თბილისში გაიმართა რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში და მთელ კავკასიაში არა მხოლოდ არქეოლოგიის, არამედ საერთოდ ისტორიისა და ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგების განვითარებაში.

ამ თარიღის აღსანიშნავად, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით დღეს საქართველოში მუშაობას იწყებს სამეცნიერო სესია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენებს ეძღვნება. სესიის მუშაობაში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის ყველა წამყვანი არქეოლოგიური დაწესებულების წარმომადგენლები და გამოჩენილი მეცნიერები. სექციის სხდომები გაიმართება ქუთაისში, თელავში, თბილისში, გორსა და ახალციხეში.

საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50-იან წლებში იწყება. პირველი ქართველი არქეოლოგი იყო დიმიტრი კონსტანტინეს ძე მეღვინეთუხუცესი (1815-1878 წწ.), რომელსაც მადლიერმა შთამომავლობამ საფლავის ქვაზე წაუწერა: „...დასდო ღვაწლი მამულს არხეოლოგიურის შრომითა, რომელიც გამოიცა სანკტპეტერბურღს სამეცნიერო აკადემიის მიერ“.

1881 წელს თბილისში გამართულმა სრულიად რუსეთის V არქეოლოგიურმა ყრილობამ უთუოდ დიდი როლი შეასრულა საქართველოში არქეოლოგიური კვლევის განვითარებაში. ყრილობის შემდგომი ხანა აღინიშნება შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსების დიმიტრი ბაქრაძისა და ეკვთიმე თაყაიშვილის ინტენსიური არქეოლოგიური საქმიანობით და მაინც არქეოლოგიური კვლევა-ძიება მაშინ შემთხვევითი ხასიათისა იყო... ჯერ კიდევ 1928 წელს აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი წერდა: „...აქამდე არ არსებობს საქართველოში დაწესებულება, რომელსაც გინდა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მუდმივი, მეთოდური არქეოლოგიური შესწავლა ჰქონდეს დავალებული. ჯერჯერობით არც ცალკეული მეცნიერი მოიპოვება, რომელსაც მიზნად იმ მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ფაქტებისა და ძეგლების სპეციალური, მთელი სივრცე-სიღრმით შესწავლა მაინც დაესახოს, რომლებიც საქართველოსა და მეზობელი რესპუბლიკების მუზეუმებში გათხრილობისა და შეგროვების წყალობით საკმაო რიცხვით და მრავალფეროვნებით არის თავმოყრილი“. ასეთი იყო ვითარება ჯერ კიდევ 30-იანი წლების დამდეგს და ეს შემარიტად გიგანტური ნაბიჯითა წინ გადადგმული! 80-იანი წლების დასაწყისისათვის, რომელიც ემთხვევა საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავს, ქართული არქეოლოგია მოვიდა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ფართო ქსელით: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, არქეოლოგიის განყოფილებები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის, ბათუმისა, და სამხრეთ ოსეთის ინსტიტუტებში, საქართველოს ხელოვნების მუზეუმსა და მთელ რიგ სამხარეთმცოდნეო მუზეუმებში, არქეოლოგიის კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ დაწესებულებებში ამჟამად მუშაობენ კვალიფიციური არქეოლოგები. ისინი წარმატებით იკვლევენ საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიის ფუნდამენტურ პრობლემებს, რომლებმაც უკვე პოვეს ფართო საერთაშორისო აღიარება. მიმდინარეობს ფართო მასშტაბის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყოველ კუთხეში, და ეს სამუშაოები ყოველწლიურად აღინიშნება დიდი მეცნიერული მნიშვნელობის აღმოჩენებით. საკმარისია თუნდაც აღინიშნოს ისეთი საყოველთაოდ ცნობილი ძეგლები, როგორიც არის საკაჟიასა და ცუცხვათის გამოქვაბულები, თრიალეთის პეტროგლიფები, ქვემო ქართლის ადრესამწყობმოქმედო ძეგლები, სამადლის, ძალისისა და ვანის ნაქალაქარები, ქვემო ქართლის საკულტო ძეგლები და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობს რესპუბლიკის ახალმშენებლობათა ზონებში, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთს დავასახელებთ.

დიდი მეცნიერული მნიშვნელობისაა ჩვენი დედაქალაქის სამხრეთ-დასავლეთ კარიბჭესთან სამშენებლო უბნებზე (უპირატესად საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ) მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოები. აქ, დიმის ველზე (მტკვრისა და დიღმისწყლის ხერთვისთან), დიდი თბილისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის რ. აბრამიშვილის ხელმძღვანელობით) გამოავლინა და შეისწავლა (და ამით უკვალოდ დაღუპვას გადაარჩინა) სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები, რომლებმაც სრულიად ახლებურად წარმოგვიდგინეს ჩვენი ქალაქის უძველესი ისტორია. დადგინდა, რომ ინტენსიური ცხოვრება აქ უკვე ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იწყება და გრძელდება გვიან შუა საუკუნეებამდე. სპეციალისტთა დიდ ყურადღებას იქცევს აქ აღმოჩენილი ნაშთები უძველესი ნასოფლარისა და თანადროული სამაროვნისა, რომლებიც ენეოლითიდან ადრებრინჯაოს კულტურაზე გარდამავალ პერიოდს (ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარს) განეკუთვნება.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა დიმის ველზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის, ე. ი. ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და I ათასწლეულის პირველი ნახევრის საკმაოდ გრანდიოზული ნამოსახლარი და სამაროვანი. ნამოსახლარის ნაშთები თითქმის 1,5 კილომეტრზეა გავრცელებული საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ აღმართულ ბორცვებზე, რომლებსაც თრელეგორებს უწოდებენ. ეს ბორცვები ტერასებად არის დანაწილებული. და თითქმის მთლიანად დაფარულია უძველესი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებით. სრულიად აშკარაა, რომ თრელეგორების სამოსახლოზე უკვე ჩნდება ის ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია ძველი აღმოსავლეთის ე. წ. პროტოქალაქური ცივილიზაციის რიგის ძეგლებისათვის. ასევე დიდმნიშვნელოვანია ამ სამოსახლოს თანამედროვე სამაროვნის შესწავლის შედეგები. უკვე აღმოჩენილია ამ ხანის რამდენიმე ათეული სხვადასხვა ტიპის სამარხი (უპირატესად წრიული და ოვალური მოყვანილობის ქვაყრილიანი სამარხები), რომელთაგან გამოირჩევა ტომის ბელადისა და წარჩინებულ მეომართა თუ საერთოდ ქონებრივ და შესაბამისად უფლებრივად დაწინაურებულ პირთა სამარხები. ასობით მაღალმხატვრული ლითონისა და თიხის შესანიშნავი ნივთებია ამ სამარხებში აღმოჩენილი.

როგორც ჩანს, სწორედ ძვ. წ. II-I ათასწლეულის სამოსახლოს ბაზაზეა განვითარებული ანტიკური ხანისა და ადრე შუა საუკუნეების დასახლებანი, რომელთა ნაშთებს მრავლად მიაკვლია ექსპედიციამ დიღმის ველის სხვადასხვა უბანზე და სავსებით მართებულად განსაზღვრა დიღმის ხეობაში უძველესი დროიდან არსებული ესოდენ ძლიერი დასახლების მნიშვნელოვანი როლი თბილისის გადედაქალაქების რთულ და ხანგრძლივ პროცესში.

ძვ. წ. II-I ათასწლეულის საინტერესო არქეოლოგიური ძეგლები შესწავლილია დიდი თბილისის სხვა უბნებშიც (გლდანის მასივი, საავიაციო ქარხნის მიმდებარე ტერიტორია და სხვ.).

უაღრესად დიდმნიშვნელოვანი და ფართო მასშტაბის არქეოლოგიური კვლევა-ძიება მიმდინარეობს კახეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემისა და ალაზნის ველის მელიორაციული გაუმჯობესების მშენებლობათა და ნავთობსაძიებო ზონებში. არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის კიაზო ფიცხელაურის ხელმძღვანელობით რამდენიმე ასეული პუნქტში აღმოაჩინა და შეისწავლა მატერიალური კულტურის მრავალფეროვანი ძეგლები, რომლებიც განეკუთვნება დიდ ქრონოლოგიურ არეალს — ძველი ქვის ხანიდან მოკიდებული გვიან შუა საუკუნეებამდე.

კახეთის არქეოლოგიურ მონაპოვარში თვალსაჩინო ადგილი უკავია ადრე და შუაბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. IV-II ათასწლეულის) ძეგლებს.

განსაკუთრებით დიდი მეცნიერული მნიშვნელობისაა სადღეს ვეღლზე (კაჭრეთის მახლობლად) და წნორის მახლობლად აღმოჩენილი შუაბრინჯაოს ხანის დიდი ყორღანები, რომლებიც სრულიად დასაბუთებულად არის მიჩნეული წარჩინებული პირის სამარხებად. აქ მრავლად იპოვეს ოქროსა და ვერცხლის სამკაულები (მძივები და „შტანდარტის“ მოსართავი ნაწილები), ტყავის ორნამენტირებული ალმები, ბრინჯაოს იარაღები და ყუნწიანი მახვილი (ამ ტიპის იარაღთა შორის ამიერკავკასიაში ჯერჯერობით უძველესად აღიარებული), ნაირსახოვანი თიხის ჭურჭელი.

თვალსაჩინო აღმოჩენებით აღინიშნება კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა გვიანბრინჯაოს-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის მხრივაც: პროტოქალაქური ტიპის გრანდიოზული ნამოსახლარები საგარეჯოს რაიონში (უდაბნოში), სამეთუნეო სახელოსნო — ხირსაში და ლითონდასამუშავებელი სახელოსნოს ნაშთები ქვემო ქედაში, ათობით სამოსახლო და საკულტო ძეგლი, ასობით სამარხი და ყორღანი, რომელთა შესწავლამ ნათელი მოჰფინა იორ-ალაზნის ტერიტორიაზე მოსახლე ტომების მატერიალური კულტურის განვითარებას ძვ. წ. XV საუკუნიდან ვიდრე ძვ. წ. VI საუკუნემდე.

კარგად არის ცნობილი ის გრანდიოზული სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ჟინვალ-ჰეესის მშენებლობასთან. აქ სამშენებლო ობიექტები სოფელ ანანურსა და ბოდორნას შორის თითქმის 20 კილომეტრზეა გადაჭიმული. ასე რომ, განადგურება და წყლით დაფარვა მოელოდა მრავალ არქეოლოგიურ ძეგლს, რომლებიც უმდიდრესი წყაროა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი პროვინციის წარსულის შესწავლისათვის, პროვინციისა, აგრეთვე ამ ადგილებში ცხოვრების მაუწყებელია აქ აღმოჩენილი ბაზალტის ქვით ნაკვეთი ეგრეთ წოდებული დროული ტიპის სვეტისსთავები, არქიტრავის ქვები და სხვა არქიტექტურული დეტალები.

ღვაწლი—მამულს...

ქართული არქეოლოგიის წარმატებები

ასი წლის წინათ, 1881 წლის სექტემბერში, თბილისში გაიმართა არქეოლოგთა V ყრილობა. თბილისში მისი მოწვევა განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, იმ დიდმა ინტერესმა საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიის არქეოლოგიისა და ისტორიისადმი, რომელიც ყოველდღიურად იზრდებოდა გასული საუკუნის 50-70-იან წლებში როგორც რუსეთის, ისე უცხოეთის სამეცნიერო წრეებში. საქართველოს ისტორიისადმი ინტერესის გაღვიძებაში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ქართველ ისტორიკოსებს თეიმურაზ ბაგრატიონსა და პლატონ იოსელიანს, აგრეთვე ფრანგ მეცნიერს აკადემიკოს შარი ბროსეს.

50-იან წლებში მარი ბროსეს მიერ ფრანგულად თარგმნილი „ქართლის ცხოვრება“ და სხვა თხზულებანი რუსეთისა და დასავლეთევროპელი მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომს ხდის საქართველოს მრავალსაუკუნოვან, ისტორიის თითქმის ყველა მონაკვეთის ამსახველ საისტორიო წყაროს.

ამას დაერთო ისიც, რომ 70-იან წლებში გაჩნდა პირველი პუბლიკაციები საქართველოსა (მცხეთა-სამთავრო) და საერთოდ კავკასიაში (ყობანი) არქეოლოგიური გათხრების შესახებ.

ყრილობის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ქართული პრესა ფართოდ აშუქებდა არქეოლოგთა V ყრილობასთან დაკავშირებულ მასალებს, ამზადებდა საზოგადოებრივ აზრს მის შესახვედრად, ხოლო ყრილობის დღეებში საქართველოს გაზეთები მთავარ ყურადღებას უთმობდნენ მას. მარტო გაზეთმა „დროებამ“ 30-მდე ნომერში დაუთმო ადგილი ამ სამეცნიერო ფორუმს. თანაც ყრილობასთან დაკავშირებული მასალები, ჩვეულებრივ, „დროების“ 1-2 გვერდზე ქვეყნდებოდა. ფართოდ გამოეხმაურნენ არქეოლოგთა V ყრილობას ილია ჭავჭავაძის „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კავკაზი“. ქუთაისში იმ ხანებში ახლად დაარსებული „შრომა“ და სხვ. ყველა ეს გაზეთი არა მარტო აშუქებდა ყრილობის მუშაობას და ამასთან დაკავშირებით ქართველი საზოგადოების კულტურულ-საზოგადოებრივ ღონისძიებებს, არამედ დიდ მნიშვნელობასაც ანიჭებდა ყრილობას, როგორც ისტორიულ მოვლენას, რომელიც ახალი ნიშანსვეტი უნდა გამხდარიყო საქართველოში მეცნიერებისა და განათლების განვითარების გზაზე.



მრავლის მომასწავებელი, დაუვიწყარი...

არქეოლოგთა V ყრილობა და ქართველი საზოგადოება

საგულისხმოა, რომ ამ ყრილობამ იმედებით აღფრთოვანების გამომძღავნება, რომლებსაც ქართული საზოგადოების ფართო წრეები ამყარებდნენ არქეოლოგთა V ყრილობაზე.

ამ ყრილობისადმი ფართო წრეების ინტერესი ნათლად ჩანს ქალაქის საზოგადოებრიობის კოლექტიური განცხადებიდან, რომელიც საორგანიზაციო კომიტეტს წარედგინა ყრილობის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, 1881 წლის 2 სექტემბერს. განცხადებაში ნათქვამია: „სხდომათა მუშაობაში მონაწილეობის მიღება სურს ადგილობრივი ინტელიგენციის ბევრ წარმომადგენელს. მაგრამ აქ ვხვდებით ერთ დიდ ნაწილეობდნენ ქართველი მეცნიერებიც: დავით ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ილია ოქრომჭედლიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, მოსე ჯანაშვილი, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები — გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დავით ერისთავი, ავქსენტი ცაგარელი და სხვები.

საქართველოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებრიობას კარგად ესმოდა, რომ „მეცნიერება უმთავრესი წყაროა ადამიანთა საზოგადოებების როგორც ზნეობრივი წინსვლისა, ისე ნივთიერი წარმატებებისა და სიმდიდრისა“; იგი მართებულად აფასებდა ყირილობას, რომელიც, მისი აზრით, „მდგომარეობს კავკასიის ფასეულობათა დამუშავებასა და კვლევაში.“ ქართველ საზოგადოებას არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ყირილობის შედეგებს დაუთმობა თვალსაჩინო ადგილი მეცნიერების განვითარებაში, მეცნიერებისა, რომლისგანაც ადამიანი ელის თავისი წინაპრების ბნელით მოსილი წინაპრების ახსნას“.

ქართველი საზოგადოების უდიდესი ინტერესი N ყრილობისადმი გამოწვეული იყო მრავალი ფაქტორით. ზოგიერთ მათგანზე უკვე გვქონდა საუბარი; ახლა კი უთუოდ უნდა აღინიშნოს ერთი ძალზე დამახასიათებელი მაგალითი იმისა, თუ რამდენად სწორად ესმოდა ქართველ საზოგადოებას არქეოლოგიური მეცნიერების არსი ხალხის ისტორიისათვის და რა მართებულად აფასებდა არქეოლოგთა V ყრილობის თბილისში გამართვის ფაქტს. გაზეთი „დროება“ წერდა: „ეს ვითარება, ეს ინტერესი არქეოლოგიური მეცნიერებისადმი ადვილად გასაგებია.

...ძველ საბერძნეთსა და რომს გარდა, მგონია, არც ერთი ქვეყანა დედამიწის ზურგზე არ წარმოადგენს ისეთ მდიდარს ნიადაგს არქეოლოგიიისათვის, როგორც ჩვენი კავკასია და ამასთანავე არც ერთი ქვეყანა არ არის ისე ნაკლებად გამორკვეული, არქეოლოგიის მხრით, როგორც ჩვენი...

მაგრამ ჩვენთვის ამ მეცნიერებას ერთიორად მომეტებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ჩვენი აწმყო თითქმის არაფერს სანუგეშოს არ წარმოგვიდგენს. დროთა ვითარებისა და უბედურ ისტორიულ გარემოებათა წყალობით ჩვენ ახლა ისეთ მდგომარეობაში ჩავვარდნილვართ, ბედი თითქოს გაჭრობას, მოსპობას გვიქადის. თავისებური განსხვავებული სახე თითქოს ნელ-ნელა და შეუმჩნევლად ეკარგება ქართველობას. ქართულ ენასაც კი, ენას, რომელიც ყოველის ერის არსებობის აუცილებელ კუთვნილებას შეადგენს, ამ ენასაც კი ემუქრებიან. არქეოლოგიის, წინაპართა ცხოვრების შესწავლით ჩვენ მოგველის განახლება, გამაგრება „ჭირსა შინა“.

ეს აზრი უფრო მკვეთრად აქვს გატარებული ილია ჭავჭავაძეს. იგი აღწერს, რაოდენ უნუგეშო მდგომარეობაშია ქართველი საზოგადოება, რომელიც რაღაცას ელის, რაღაცის მოლოდინშია, მაგრამ „... სული დრტვინავს, გული ვნეესის ამაო ლოდინის ბაძმ. შესცა, შეჭლია მაგ ლოდინმა მთელი ჩვენი მხნეობა, ქანცი გაგვიწყდა, და — ჰა! თუ ამ დაუსრულებელს სიბნელეში, ერთი მცირედი რამ შუქი აღმოჩნდეს ადამიანის ნუგეშად!... სანუგეში ყოფაა ეს ყოფა ადამიანისათვის. ეგ სანუგეშოა თითქოს დაუსრულებელია...

ამისთანა მდგომარეობაში ყოველივე არაჩვეულებრივი კაცს ცოტაოდნად მაინც გამოაცოცხლებს ხოლმე და ლოდინით გაბრუებულ გუნებას გამოუფიზიზლებს. ამისთანა ამბავი ჩვენ ქართველებისათვის ის არის, რომ დღეს ჩვენს დედა-ქალაქში არქეოლოგიური კრებაა გამართული... ეს პირველი მაგალითია ჩვენს ისტორიაში, რომ ჩვენი დედა-ქალაქი ტფილისი ღირსი გახდა მეცნიერთა კრებისა“.

ეროვნული ტკივილებით არის აღსავსე აკაკის სიტყვაც, რომლითაც მან მიმართა ყრილობის მონაწილეებს.

დასასრულ, უნდა შევჩერდეთ გრიგოლ ორბელიანის მისალმებაზე, რომელიც ყურადღებას იქცევს არა მარტო ყრილობისა და საქართველოსათვის მისი მნიშვნელობის შეფასების თვალსაზრისით, არამედ ზოგადად მეცნიერების, კაცობრიობისათვის მისი დანიშნულების განსაზღვრის მხრივაც. გრიგოლ ორბელიანი აღინიშნავდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, დადგა ჟამი, როცა ცნობისმოყვარე ყურადღება მეცნიერებისა მიმართულია ჩვენი ქვეყნისადმი იმ მიზნით, რომ შეისწავლოს იგი არქეოლოგიურად, ისტორიულად, ეთნოგრაფიულად. „...აქ მყოფმა ძვირფასმა სტუმრებმა, რომელთა სახელები დიდი ხანია ცნობილია სამეცნიერო სამყაროში, როგორც მეცნიერების ერთგულმა მსახურებმა, მეცნიერების საკეთილდღეოდ გადალახეს ყველა წინააღმდეგობა და მოეკლინენ ჩვენს ქვეყანას...

თქვენი ჩამოსვლა ასეთი შორეულ მხარეში მიუთითებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან და ფრიად სასიხარულო ნიშანდობლივ გარემოებაზე, რომ მეცნიერების ძალიერება, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდება, ეფინება დედამიწის ზურგს, რაც გვაიძულებს დაეჯეროთ და მე მჯერა, რომ ბატონობა მეცნიერებისა, მის ერთგულ მსახურთა წყალობით, დაბოლოს დამკვიდრდება და გამეფდება ყველგან მთელს მსოფლიოში.

თქვენ კი, ძვირფასო ჩვენო სტუმრებო, თავგამოდებულო გამავრცელებელნო მეცნიერების სიწმალისა, გიხაროდეთ! თქვენი შრომა საპატიოა, მრავლის მომასწავებელი, დაუვიწყარი... რადგან მეცნიერების მიზანია განახლება და განათლება კაცობრიობისა“.

ბეშმარიტად, თანამედროვედ ჟღერს გრიგოლ ორბელიანის სიტყვები, იმდენად თანამედროვედ, რომ თამამად შეიძლება ამ სიტყვებით მივმართოთ დიადი საბჭოეთის აკრედიტაციებს, რომლებიც 21 აპრილს შეიკრიბებიან თბილისში, არქეოლოგთა V ყრილობის მე-100 წლისთავის აღსანიშნავად, და ვუსურვოთ მათ წარმატება მუშაობაში საბჭოთა მეცნიერების საკეთილდღეოდ.

თ. მიქელაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
თ. ბერიაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

სურათებზე: ზემოდან
1. გამარჯვების ქალღმერთის — ნიკის ქანდაკება (ვანი, ბრინჯაო, ძვ. წ. II ს.);
2. ოქროს ბალთა ცხოველთა ბრძოლის სცენებით (გონიოს განძი, ახ. წ. III ს.);
3. ოქროს ბალთა მზის ღვთაების გამოსახულებით (გონიოს განძი, ახ. წ. II ს.);
4. ოქროს ქანდაკება (გონიოს განძი, ახ. წ. II ს.); 5. თიხის ჭურჭელი — ვერძი. (თბილისის მიდამოები („თრელის სამაროვანი“), ძვ. წ. VIII-VII სს.).

ფეხბურთის ამბები

ერთი დღეც და...

ბუენოს მოსკოვიდან როტერდამს გაემგზავრნენ თბილისის დინამოელი ფეხბურთელები. საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსმა ა. ჭკუასელმა გვაცნობა, რომ „ფეიენოორდთან“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების განმეორებითს ნახევარფინალურ მატჩზე გაემგზავრნენ გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია, ჭილაია, ხიზანიშვილი, კაკაბაშვილი და მამინაშვილი. ფეხბურთელებს აბლავან „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი, გუნდის უფროსი კახი ასათიანი და მწვრთნელი სერგო კუტიკაძე. დინამოელები ბინას დაიდებენ როტერდამის სასტუმრო „ატლანტაში“. მაშ ასე, ხვალ „დინამო“ „ფეიენოორდს“ ხვდება. კიდევ ერთხელ ვუსურვოთ ჩვენს ფეხბურთელებს შინ ფინალის საგზური დაბრუნება.

ამასობაში „ფეიენოორდმა“ ქვეყნის ჩემპიონატის კალენდრით გათვალისწინებული მატჩი გამართა „გრონინგემთან“ და იგი ფრედ (3:3) დაამთავრა.

უმაღლესი ლიგა

გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეხუთე ტურის მატჩები. შედეგები ასეთია: ცსკა-„დნეპრი“ — 1:1, „ტორპედო“-„შახტიორი“ — 3:0, „ყუბანი“-„ნეფთჩი“ — 0:0, „ტავრია“-ასკ — 1:1, „არარატი“-„ფახთაქორი“ — 3:1, მინსკის „დინამო“-„სპარტაკი“ — 1:1, „ზენიტი“-მოსკოვის „დინამო“ — 0:0.

დღეისათვის გათამაშების ცხრილში გუნდები ასე არიან განლაგებული:

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„ტორპედო“	5	3	2	0	7-2	8
„სპარტაკი“	5	3	1	1	9-4	7
„დინამო“ თბ.	5	3	0	2	9-7	6
„დინამო“ მნ.	4	2	2	0	6-3	6
„დინამო“ კ.	4	2	2	0	5-3	6
„შახტიორი“	4	2	1	1	4-4	5
„არარატი“	5	2	1	2	5-7	5
ცსკა	5	1	3	1	7-5	5
„ყაირათი“	5	1	3	1	4-3	5
„დინამო“ მ.	5	1	3	1	3-2	5
„ნეფთჩი“	5	1	3	1	4-4	5
„ტავრია“	5	1	2	2	2-4	4
ასკ	5	1	2	2	5-8	4
„ყუბანი“	5	1	2	2	2-5	4
„ჩერნომორეცი“	4	1	1	2	1-3	3
„ფახთაქორი“	5	1	1	3	3-6	3
„ზენიტი“	4	0	2	2	3-6	2
„დნეპრი“	4	0	1	3	2-5	1

მეორე ლიგა

მეორე ლიგის მეცხრე ზონაში მოასპარეზე საქართველოს ფეხბურთელთა გუნდებმა გამართეს მეხუთე ტურის შეხვედრები. შედეგები ასეთია: სოხუმის „დინამო“-სამტრედიის „ლოკომოტივი“ — 1:0, ბათუმის „დინამო“-ფოთის „კოლხეთი“ — 1:0, გორის „დილა“-თბილისის „ლოკომოტივი“ — 3:0, რუსთავის „მეტალურგი“-ლენინაკანის „შირაკი“ — 0:0.

ლიდერთა შორის

ფერგანაში მეხუთე ტურის მატჩებით დამთავრდა უმაღლესი ლიგის რეგბისტთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპი. გთავაზობთ შედეგებს: სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვის ოლქი)-ალმა-ათის „კოსმოსი“ — 38:11, თბილისის „ლოკომოტივი“-ერასნოიარსკის „ექსკავატორტაიფსტროი“ — 16:15, მოსკოვის „ფილი“-თბილისის „შევარდენი“ — 34:15, მოსკოვის „სლავა“-ქუთაისის სახლმშენებელი კომბინატი — 27:12, მოსკოვის „ლოკომოტივი“-ლვოვის „სოკოლი“ — 55:3, კიევის „ავიატორი“-მოსკოვის „ავტომობილისტი“ — 40:3.

საკავშირო ჩემპიონატის მომდევნო ეტაპის მატჩები გაიმართება მოსკოვში 3-13 ივნისს. ამჟამად გათამაშების ცხრილში გუნდების მდგომარეობა ასეთია: მოსკოვის „ლოკომოტივი“ და სამხედრო-საჰაერო აკადემია — 15-15 ქულა, თბილისის „ლოკომოტივი“ და „ავიატორი“ — 13-13, „სლავა“ და „ფილი“ 11-11, სახლმშენებელი კომბინატი და „ექსკავატორტაიფსტროი“ — 9:9, „კოსმოსი“ და „სოკოლი“ — 7-7, „შევარდენი“ და „ავტომობილისტი“ — 5-5 ქულა. როგორც ხედავთ, საქართველოს გუნდებიდან ჯერ-ლეზა უკეთ თბილისის „ლოკომოტივმა“ იასპარეზა და ლიდერთა შორის დაიმკვიდრა ადგილი.

ჭადრაკის დაფებიან

გათამაშდა მოსკოვში მიმდინარე დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირის მეცხრე და მეათე ტურებში გადადებული პარტიები. გეორგიუმ (რუმინეთი) დაამარცხა ტმანი (ჰოლანდია), ხოლო პორტიშ (უნგრეთი)-გელერი დაზავდნენ. 10 ტურის შემდეგ კარპოვს 7,5 ქულა ჰქონდა, კასპაროვს და პოლუგაევსკის — 6-6, გეორგიუს, პორტიშს და სმისლოვს — 5,5-5,5, ანდერსონს (შვეიცია) ბელიავსკის და პეტროსიანს — 5-5, ბალაშოვს — 4,5, სმეიკალს (ჩეხოსლოვაკია) — 4, გელერს, ტიმანს და ტორეს (ფილიპინები) — 3,5-3,5 ქულა.

თბილისში მიმდინარე ოთხთა მატჩ-ტურნირზე გაიმართა საქართველოსა და ლატვიის ნაკრები გუნდების ორი შეხვედრა. პირველ ტურიდან გამოტოვებულ მატჩში მოულოდნელად წინ გავიდნენ ლატვიელები — 5:1 (ორი პარტია გადაიდო). ამ გუნდების განმეორებით შეხვედრაში საქართველოს მოჭადრაკეებმა გაიკეთეთ უკეთ ითამაშეს და დაწინაურდნენ — 4:2 (ორი პარტია გადაიდო). საქართველოს გუნდს ორი ქულა მოუტანეს ქალებმა: მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა გაფრინდაშვილმა მოუგო გოლდმანეს, ხოლო ოსტატმა ქ. მელაშვილმა — პრიეტიტეს. უკრაინისა და ლენინგრადის მოჭადრაკეთა შეხვედრაში ანგარიშით 5:2 გაიმარჯვეს უკრაინელებმა. ერთი პარტია დაუმთავრებელი დარჩა. დღეს მორიგი, მეხუთე ტურია. მასპინძლები ლენინგრადელებს ხვდებიან.

საფეხბურთო ორბიტა

სპორტული ტანვარჯიში. ლენინგრადში დამთავრებულ საკავშირო თასის გათამაშებაში გამარჯვებულთა შესახებ ცნობა მკითხველებს უკვე მიეგზავნოდეთ. ახლა კი გაგაცნობთ თბილისელ მოსწავლე ანაიდა ბაბასიანს („განთიადი“), რომელმაც ბჯენით ხტომაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. იგი თბილისის 106-ე სკოლის X კლასის მოსწავლეა და უკვე კარგა ხანია, რაც სხვადასხვა შეჯიბრებაში წარმატებით ასპარეზობს. **ლენინგრადში მოპოვებული მესამე ადგილით მან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.**

აკადემიური ნიჩბოსნობა. ფოთში გაიმართა საკავშირო შეჯიბრება სპორტასაზოგადოებებისა და უწყებების სპორტსმენთა შორის. წარმატებით ისასპარეზა რუსთაველმა ირინე ედელმოვამ („განთიადი“). მან ერთადგილიანი ნავით პირველობა მოიპოვა, ხოლო ორადგილიანი ნავებით შეჯიბრებაში მეორე ეყო.

ჩოგბურთი. ტაშკენტში დამთავრდა საკავშირო ასპარეზობა. ქალთა ერთეულების თანრიგზე გაიმარჯვა ბაქოელმა ე. გიშიანმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა ლენინგრადელი ა. კრასკო. ვაჟთა ფინალში მოსკოველმა კ. პუგაევმა სძლია კიეველ ო. გავრილოვს. ქალთა წყვილებში უძლიერესნი იყვნენ ლ. მაკაროვა (მოსკოვის ოლქი) და ნ. ბოროდინა (მინსკი), ვაჟთა წყვილებს შორის კი გაიმარჯვეს ა. ზალუქინმ (ლვოვი) და ი. ფილიოვმა (კიევი).

ხელბურთი. კიევში გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ფინალური მატჩი. ადგილობრივი „სპარტაკის“ ქალთა გუნდმა დაამარცხა ბელგრადის „რადნიჩკი“ — 22:13.

ცურვა. ქალაქ გერაში (გდრ) გამართულ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდების შეხვედრაში წარმატება მასპინძლებმა მოიპოვეს — 179:165. **აღსანიშნავია, რომ ამ სამატჩო ასპარეზობისას თბილისელმა ი. გერასიმოვამ 200 მეტრზე კოჭპალეკსურ ცურვაში III ადგილი დაიკავა.**

ლენინგრადში კი სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იუნიორთა გუნდებმა იასპარეზეს. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 181:163.

ფარიკაობა. ტრადიციულ საერთა